



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის
გამგეობის 2018 წლის 14 ნოემბრის სხდომის დადგენილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 42-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობამ დაადგინა:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 05 დეკემბერს;
2. არჩევნები ჩატარდეს სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების შესაბამისად. კანდიდატთა რეგისტრაცია საფაკულტეტო საარჩევნო კომისიებში დაიწყოს 2018 წლის 22 ნოემბერს და დასრულდეს 2018 წლის 28 ნოემბერს;
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით დადგენილება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრები:

/რ. გურგენიძე/

/ა. ბაბუნაშვილი/

/თ. ბაბუნაშვილი /

/ლ. კალანდია /

/ა. ბაბუნაშვილი/

/მ. გმუხაძე/

/გ. გელაშვილი/

/ს. კახიანი/

/ა. კანუყვაძე/

/გ. მიქავა /

/ვ. კანია /